European School LLC
შპს ევროპული სკოლა

№ 1/1/65

09.11. 20 21

ბრძანება

შპს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკის ახალი რედაქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკის ახალი რედაქციის შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის N1-47/1 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

# მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკა

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
მომზადებულია: საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორების მიერ
მომზადების თარიღი: 2018 წლის სექტემბერი
ბოლო გადახედვის თარიღი: 2021 წლის ნოემბერი

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

**ზოგადი დებულება**

მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკა წარმოადგენს შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში - „ევროპული სკოლა“ ან „სკოლა“) მოსწავლეთათვის სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტს, რომელსაც მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში, აგრეთვე სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს და მოქმედებს სკოლის სხვა სამართლებრივი აქტების/წესების/ რეგულაციების პარალელურად.

**მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკის მიზანი**

1. მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკის მიზანია, დანერგოს მოსწავლის ქცევის ერთიანი წესები.
2. მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი ქცევის მართვას, მოსწავლეთა დისციპლინისა და ურთიერთპატივისცემის, სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებას.
3. სკოლის დირექცია, მასწავლებლები, სკოლაში დასაქმებული სხვა პირები და მშობლები ხელს უწყობენ მოსწავლეს ქცევის პოლიტიკის დაცვაში.

**მოსწავლეები: სკოლაში გამოცხადებამდე**

- იყავით მოწესრიგებული, შეამოწმეთ ცხრილი, განსაზღვრეთ საჭიროებები დღის განმავლობაში, ჩაალაგეთ ჩანთა.
- სკოლაში გამოცხადდით დროულად - სკოლის წინ თავშეყრის არეალში იყავით 08:45 სთ-დან, ხოლო პირველი გაკვეთილის საკლასო ოთახთან 08:55 სთ-სთვის.
- ავადმყოფობის ან ვერგამოცხადების შემთხვევაში, აუცილებლად აცნობეთ დამრიგებელს ელ.ფოსტით ან მესიჯით. 5 დღემდე ხანგრძლივობის ავადმყოფობისას, იქონიეთ მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, ხოლო მეტი ხანგრძლივობის ავადმყოფობისას, ექიმის ცნობა.
- გაითვალისწინეთ, რომ თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლასები) მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
- გაცდენის შემთხვევაში, სკოლის საინფორმაციო რესურსების გამოყენებით თავად უნდა გაარკვიოთ, თუ რა სასწავლო მასალა გაგიცდათ და მასწავლებლებთან ერთად დაგეგმოთ გონივრული დრო გაცდენის ასანაზღაურებლად (ზოგადად, გაცდენის ასანაზღაურებლად გაცდენილზე ორჯერ მეტი დრო დაგჭირდებათ, მაგ. თუ ერთი დღე გააცდინეთ, ჩამორჩენის ასანაზღაურებლად გექნებათ ორი დღე.
- გაკვეთილზე დიდი ხნით (10 წუთამდე) დაგვიანების შემთხვევაში, ჩაანიშნინეთ მასწავლებელს დაგვიანების ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაფიქსირდეს გაცდენა.
- სკოლაში / გაკვეთილზე დაგვიანებას და გაცდენას მონიტორინგს უწევს კლასის დამრიგებელი. ხშირად დაგვიანების და გაცდენისას მოგთხოვენ განმარტებას და საკითხის განსახილველად შესაძლოა დაუკავშირდნენ მშობლებს.

**დღის განმავლობაში:**

▪ გაკვეთილებზე გამოცხადდით დროულად და იქონიეთ სასწავლო პროცესისთვის საჭირო ნივთები.

▪ სკოლაში მოსვლამდე, ან მოსვლისთანავე მოამზადეთ პირველი ორი გაკვეთილისთვის საჭირო მასალა;

▪ შესვენებაზე მოემზადეთ მომდევნო გაკვეთილისთვის.

▪ საკლასო ოთახში შესვლისთანავე, მოემზადეთ გაკვეთილისთვის - ამოიღეთ საჭირო ნივთები და მოემზადეთ სწავლის დასაწყებად მასწავლებლის თხოვნისთანავე. არ უნდა დაკარგოთ დრო ნივთების და წიგნების ამოღებაში.

▪ ფიზკულტურის გაკვეთილებისას, მასწავლებელი საკმარის დროს მოგცემთ გამოსაცვლელად. ეს დრო გამოიყენეთ გამოსაცვლელად და არ დააგვიანოთ სპორტდარბაზში და მომდევნო გაკვეთილზე. მასწავლებლებს ევალებათ ასეთ დაგვიანების ფაქტები აცნობონ დამრიგებლებს. გამოიჩინეთ სხვემის მიმართ პატივისცემა, სერიოზულად მოეკიდეთ სწავლის პროცესს და ისაუბრეთ მხოლოდ გაკვეთილზე გამოყენებულ ენაზე, თუ სხვა დავალებას არ მიიღებთ.

**წესების დარღვევის შედეგებისთვის იხილეთ ბოლო გვერდი!**

▪ შესვენების და ლანჩის დროს გამოიჩინეთ პასუხისმგებლობა - ამ დროს საკლასო ოთახში ყოფნისას კარები ყოველთვის ღია უნდა იყოს. კაფეში ან სასადილოში პატივისცემით მოექცით პერსონალს და შეასრულეთ მათი მითითებები.

**კვება / სასმელის მიღება**

▪ კვების და სასმელის მიღება ნებადართულია მხოლოდ კაფეში და სასადილოში. შენობაში სხვაგან კვება აკრძალულია.

▪ მოსწავლეებს და პერსონალს ეკრძალება საღეჭი რეზინის ღეჭვა.

▪ სკოლაში წყალი ხელმისაწვდომია და მოსწავლეებს ეძლევათ რეკომენდაცია დღის განმავლობაში მიიღონ საკმაო ოდენობით წყალი. დაიცავით წყლის სასმელი სივრცის სისუფთავე და გადაყარეთ გამოყენებული ჭიქები.

▪ მოსწავლეებმა უნდა უზრუნველყონ ნარჩენების, ნაგვის, დაღვრილი სითხის, ძირს დაცვენილი საკვების და ა.შ. გაწმენდა.

▪ კომპიუტერებთან საკვების და სასმელის მიღება აკრძალულია.

**ზოგადად, დაიცავით სკოლაში მოქმედი წესები; პატივი ეცით სხვებს, საკუთარ თავს და გარემოს.**

▪ აკრძალულია საგაკვეთილო/სასწავლო პროცესში **პირადი ელექტრონული მოწყობილობების**, მაგ. მობილური ტელეფონების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, მასწავლებლის/სხვა უფლებამოსილი პირის თანხმობით. პერსონალს შეუძლია მოახდინოს ამ ნივთების დროებით ჩამორთმევა. ნივთები დაგიბრუნდებათ დღის ბოლოს ან ზოგ შემთხვევაში მომდევნო დღეს.

▪ **სკოლის კომპიუტერები მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნით გამოიყენება** (თუ სხვა ფორმით გამოყენებაზე ნებართვა არ არის გაცემული (მაგ. ფილმების საღამოები, კლუბში გამოყენება და სხვ.)). აკრძალულია სკოლაში თამაშების გადმოწერა და თამაში. აკრძალულია „ფეისბუქზე" და სხვა სოციალურ ვებგვერდებზე შესვლა. „იუთუბზე" შესვლა ნებადართულია მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის.

**სასწავლო დღის ბოლოს**

- დარწმუნდით, რომ მზად ხართ საშინაო დავალების შესასრულებლად
- დატოვეთ შენობა წყნარად და მოწესრიგებულად.
- არ დააგვიანოთ ტრანსპორტზე.

**საშინაო დავალებები**

- **ჩაინიშნეთ ყველა დავალება** რომელიც უნდა შეასრულოთ არასასკოლო საათებში - იქნება ეს სავარჯიშოების დასრულება, პროექტების მომზადება, ესეების წერა თუ საკითხავი მასალა. ჩაინიშნეთ თარიღი და დრო, რომლის დადგომამდეც უნდა შეასრულოთ დავალება. დიდი მოცულობის/დროში გაწერილი დავალებები საჭიროებს დაგეგმვას, რათა შეძლოთ მოთხოვნისამებრ სამუშაო ვერსიების წარმოდგენა.
- მნიშვნელოვანია **ვადების დაცვა**. ვადის დაცვა დავალების შემადგენელ ნაწილად ითვლება (დავალების შესრულების ვადის გადაცილება გავლენას იქონიებს თქვენს შეფასებაზე და პირად საქმეზე, რამაც შესაძლოა თავის მხრივ გავლენა მოახდინოს თქვენს რეკომენდაციებზე - იხილეთ „შეფასების პოლიტიკა"). პრობლემების შემთხვევაში, განიხილეთ საკითხი მასწავლებელთან დავალების ჩაბარების ვადამდე რამდენიმე დღით ადრე.
- **ვადების განმეორებით დარღვევის** შემთხვევაში, ჯერ თქვენ, ხოლო შემდეგ თქვენს მშობლებს გამოვკითხავთ, თუ რაში მდგომარეობს და როგორ უნდა გადაწყდეს პრობლემა.
- შეუსრულებელი დავალება მოგვიანებით მაინც უნდა შესრულდეს, რადგან ყველა დავალება, ისევე როგორც თქვენთვის ნიშნის დაწერა, აუცილებელია თქვენი, როგორც განათლების მიმღების განვითარებისთვის.
- **არასდროს გადაიწეროთ, არ გააყალბოთ და არ დაკავდეთ პლაგიატით**. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სკოლამ უნდა დაინახოს, თუ რისი უნარი გაქვთ, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენთ უშუალოდ **თქვენს** ნაშრომს. აკადემიური არაკეთილსინდისიერების შედეგად, ატყუებთ საკუთარ თავს, როგორც მოსწავლე და განათლების მიმღები. ასევე ქმნით სერიოზული დისციპლინური ზომების გატარების რისკს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა").

პრობლემები

- **მოგვიყევით თქვენი პრობლემის შესახებ.** შეგიძლიათ მიმართოთ ნებისმიერ მასწავლებელს, თუმცა. თქვენი „საუკეთესო მეგობარი" თქვენი კლასის დამრიგებელია.
- ზოგადად, პრობლემის შემთხვევაში პირველად უნდა მიმართოთ მას, ვინც უშუალოდ დაგეხმარებათ. მაგალითად, თუ პრობლემა გაქვთ საგანთან, განიხილეთ საგნის მასწავლებელთან. თუ პრობლემა კვლავ რჩება, განიხილეთ პროგრამის კოორდინატორთან.
- **ერთმანეთს მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ.** თუ რაიმე არ მოგწონთ, ან რაიმეს გაკეთების უკეთეს გზას ხედავთ, დაწერეთ ცვლილების რეკომენდაცია და გადაეცით მას, ვისაც ცვლილების განხორციელება შეუძლია.
- **საბოლოო ჯამში, ყოველთვის სასარგებლოა საკითხი განიხილოთ მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და სხვა უფლებამოსილ პირთან.**

## მოსწავლის ქცევა სკოლის ტერიტორიაზე, სასწავლო პროცესისა და სასკოლო ღონისძიებების დროს

- მოსწავლე ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.
- მოსწავლე ემორჩილება სკოლის დირექტორის, მასწავლებლის, სკოლაში დასაქმებული სხვა პირის კანონიერ მითითებებს.
- მოსწავლე თავაზიანად ეპყრობა სხვა მოსწავლეებს, თავს იკავებს მათთან ძალადობის მუქარისგან, ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებებისაგან და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.
- მოსწავლე გამოხატავს აზრებს და შეხედულებებს სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე.
- მოსწავლე არ იყენებს მობილურ ტელეფონს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს სასწავლო პროცესის დროს, არასასწავლო მიზნით.
- მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
- მოსწავლე პატივს სცემს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად.
- მოსწავლე არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას.
- მოსწავლე არ ტოვებს გაკვეთილს მასწავლებლის ნებართვის გარეშე.
- მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას.
- მოსწავლე იცავს სისუფთავეს სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

## სკოლაში აკრძალული ნივთები

მოსწავლე არ ცხადდება სკოლაში შემდეგი ნივთებით:

ა) თამბაქოს ნაწარმი;

ბ) ყველანაირი სახის იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იარაღად;

გ) სანთებელა ან ასანთი;

დ) ალკოჰოლური საშუალებები;

ე) ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;

ვ) ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობის ფული;

ზ) აზარტული თამაშის საშუალებები;

თ) უხამსობის ამსახველი ნივთები;

ი) ნარკოტიკული საშუალებები;

კ) ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები;

ლ) ფსიქოტროპული საშუალებები, ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე.

**სკოლის წესების უხეში დარღვევა**

ქვემოთ მოცემულია წესების უხეში დარღვევის ზოგიერთი მაგალითი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა დისციპლინური ზომის დაკისრება, დაწყებული გაფრთხილებით, დასრულებული სკოლიდან გარიცხვით, სიტუაციის სიმწვავიდან გამომდინარე:

- ძალადობა ან მუქარა, ბულინგი, რასობრივი ჩაგვრა ან დისკრიმინაცია
- ვანდალიზმი
- სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა
- ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება
- ცრუ სახანძრო განგაშის ჩართვა
- სკოლაში იარაღის მიტანა

**მოსწავლის მიუღებელი ქცევის შედეგები**

დისციპლინური ზომების გამოყენების მიზანია:

- ყველა მოსწავლისთვის განათლების მიღების თანაბარი საშუალების მიცემა
- სკოლის პერსონალის და მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- მოსწავლეების დახმარება, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და საქციელზე

**მოსწავლის მიმართ, დისციპლინური სახდელების გამოყენებამდე, შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი ღონისძიებები:**

- დამრიგებლის შენიშვნა;
- დამრიგებლის გაკიცხვა;
- დამრიგებლელთან და პროგრამის კოორდინატორთან შეხვედრა;
- კლასზე დაკვირვება ფსიქოლოგის მიერ / მშობლებთან შეხვედრა;
- პროგრამის კოორდინატორის/ხელმძღვანელის შენიშვნა და სხვა.

**დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესით, მოსწავლის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დისციპლინური სახდელის სახეები, კერძოდ:**

ა) გაფრთხილება;

ბ) მკაცრი გაფრთხილება;

გ) გაკვეთილიდან გაძევება;

დ) ზიანის ანაზღაურება;

ე) გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება ან/და სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება;

ვ) სკოლიდან დროებით დათხოვნა;

ზ) არასასკოლო აქტივობებში მონაწილეობის უფლების შეჩერება, როდესაც სხვა აღმზრდელობითმა ზომებმა შედეგი არ გამოიღო, ან როდესაც მშობლები არ თანამშრომლობენ სკოლასთან - არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და მოსწავლე არ იცავს სკოლის წესდებას, რეგულაციებს და ზოგადად მიღებულ სოციალურ-მორალურ წესებს, სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელის რიცხავს მოსწავლეს აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილების შესაბამისად.

თ) სკოლიდან გარიცხვა (საშუალო საფეხურის მოსწავლის შემთხვევაში).

მოსწავლე შეიძლება გაირიცხოს:

- სკოლის რეგულაციების დარღვევისას;
- სკოლის საგანმანათლებლო პროგრამისთვის შეუფერებელი ცხოვრების წესის წახალისებისას;
- ტოქსიკური ნივთიერებების, ალკოჰოლის და სხვა მავნე ნივთიერებების გავრცელების ან მოხმარებისას;
- სხვა მოსწავლეების კეთილდღეობის, მოტივაციის ან უსაფრთხოებისთვის საზიანო ქცევისას;
- სკოლის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში და წესით.

**გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება:**

სკოლის მიერ შესაძლოა მიღებული იქნას გადაწყვეტილება მოსწავლის გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვების თაობაზე. მოსწავლე შესაძლოა დატოვებული იქნას სკოლაში 5 საათამდე, რა დროსაც მოსწავლე მუშაობს საშინაო დავალებაზე, კითხულობს წიგნებს, ან ასრულებს რაიმე სასარგებლო საქმეს.

მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომასთან და დისციპლინურ ღონისძიებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის სხვა სამართლებრივი აქტებით.

**დრესკოდის (ფორმის ტარების წესის) დარღვევა**

- პირველი დარღვევა: სიტყვიერი შენიშვნა; ინციდენტის დაფიქსირება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- მეორე დარღვევა: სიტყვიერი შენიშვნა; ინციდენტის დაფიქსირება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში; მშობლებისთვის წერილის მიწერა.
- მესამე დარღვევა: მოსწავლე იგზავნება სახლში გამოსაცვლელად; მშობლებთან ტელეფონით გასაუბრება **და** ელექტრონული წერილის გაგზავნა.
- შემდგომი დარღვევა: მისაღებ ზომებს განსაზღვრავს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი.

**არასაპატიო გაცდენა (ვრცელდება მხოლოდ საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამაზე)**

- პირველი დარღვევა (კვირის განმავლობაში ორი გაკვეთილის გაცდენა, ე.ი. 4 x 45 წუთი): პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება
- მეორე დარღვევა: მშობლების შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და მშობლებთან შეხვედრის ფაქტის დაფიქსირება დასწრების ჟურნალში
- მესამე დარღვევა: გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დარჩენა (1 დღე)
- მეოთხე დარღვევა: სასარგებლო სამუშაო
- მეხუთე დარღვევა: სკოლაში არდაშვება (ვადა დასადგენია)
- მეექვსე დარღვევა: სკოლის დირექტორისთვის საკითხის გადაცემა შემდგომი რეაგირებისთვის

European School LTD
მას ევროპული სკოლა

# Behavior and Consequences Policy

Review Frequency: Annual
Prepared by: IB Coordinators
Policy written in: September 2018
Last review date: November 2021

Sophio Bazadze
Director

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

CIS ACCREDITED
CollegeBoard
AdvancED
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

## GENERAL PROVISION

The Behavior and Consequences Policy represents the mandatory document for the students of the 'European School' LTD (hereinafter 'European School' or 'School') which is followed by the student during the educational process at school, also while participating in the events organized by the school, and it is operational in parallel with the other legal acts / rules / regulations of the school.

## THE GOAL of BEHAVIOR and CONSEQUENCES POLICY

1. The goal of the Behavior and Consequences Policy represents setting the common rules for student behavior.
2. The Behavior and Consequences Policy will ensure the management of the student behavior by herself/himself, provision of the students' discipline and mutual respect, as well as the favorable and safe learning environment at school.
3. The school administration, the teachers, other school employees and the parents will ensure the protection of the Behavior and Consequences Policy.

## STUDENTS: Before you come to school:

- Make sure you are organized, check your planner, identify what you need for the day and pack your bag.
- Make sure you arrive on time – make sure you are in the assembly area at the front of the school from 08:45 and outside the classroom of your first lesson by 08:55.
- If you are ill or are going to be away, make sure that your class teacher is informed by email or text message. For illnesses lasting up to five days, please bring a note from your parent/guardian signed by him / herself. For longer periods of illness, you will need to bring a doctor's note.
- Please note that on the basic – middle stages (VII – XII grades) if the student is absent from specific subject for thirty per cent or more out of total hours dedicated to that subject in a year, the student is assessed only by passing the external tuition exam.
- If you have been away, by using the school information resources, it is your responsibility to find out what learning you have missed and to arrange with your teachers a reasonable time to make up for the lost opportunities (generally, you can expect about twice the time you were away to catch up e.g. If you were absent for one day you will have two days to catch up with missed assignments).
- If you arrive too late for class (up to ten minutes), make sure the teacher has recorded you as being late otherwise you will run the risk of being marked absent.
- Lateness to school /class and absences will be monitored by your class teacher. If there is a pattern of any of these, you will be asked to explain, and parents may be contacted to resolve the issue.

## During the day:

- Make sure that you arrive on time to lessons and have prepared all the necessary equipment for the educational process.
- Prepare what you need for the first two lessons before or as soon you arrive at school.
- Prepare what you need for the next lesson during break.
- As soon as you arrive in the class, make yourself ready for the lesson- take out the necessary equipment you need and be prepared to start as soon as the teacher asks you to. You should not waste time in taking out your equipment and books.
- For PE classes, your teacher should provide you with adequate time to change. You should respect this time for getting changed and make sure you are not late to the gym and not late to the next class. Teachers are instructed to inform class teachers if this occurs. Behave respectfully, be serious about your learning and avoid speaking languages other than the language of instruction unless told otherwise.

### *For Consequences See the Last Page!*

- At break and lunch time you should behave responsibly. If you are in a classroom, the door should be open at all the times. If you are in the cafeteria or canteen, you should behave respectfully to the staff who work there, following all instructions they provide.

## Eating and Drinking

- You are allowed to eat and drink in the cafeteria and the canteen only. Eating is not permitted elsewhere in the building.
- At no time is gum allowed to be chewed by students or staff.
- Water is provided, and students are encouraged to keep well-hydrated through the day. The water area should be kept tidy by those who use it, and cups should be discarded of in a responsible manner.
- Students must make sure that any rubbish, waste, spillage, food that's dropped, etc. is cleared away appropriately.
- No food or drink is allowed at the computers at any time.

### *In general, respect the rules; respect others, yourself, and the environment.*

- **Personal electronic devices** such as mobile phones must not be used, except in the case if they are used for the educational purposes and in agreement with the teacher / other authorized person. Staff may confiscate these devices temporarily. They will be returned at the end of the day or in some cases on the next day.
- **Computers in the school are for educational purposes only** (unless other usage has been officially sanctioned (e.g., film evenings, clubs use, etc.). Games are not to be downloaded or played at school. Facebook and other social network sites are not allowed to be accessed. YouTube is allowed only in connection with academics.

### At the end of the school day:

- Make sure you are ready for the learning that you must do at home;
- Leave the building quietly and responsibly;
- Make sure you are on time for your transport.

### Home Assignments

- You are expected to **make a note of all assignments** given to you that are to be done outside the class- whether they are finishing exercises, creating projects, writing essays, or reading some text. Note the due date for the assignment and time when you plan to do the task. Longer / time consuming assignments need planning so that you can submit a first draft if requested.
- **Meeting deadlines** is important. Meeting a deadline is seen as part of the assignment (not handing in work on time will have an effect on your grades and your record which in turn may affect your references- see assessment policy). If you have a problem, then you need to discuss the matter with your teacher several days before the due date of the assignment.
- **Repeatedly missing deadlines** will mean us asking you firstly and then your parents what the source of the problem is and resolving the issue.
- Any missed assignment will still have to be completed as these assignments, as well as providing you with a grade, are fundamentally to be completed for the benefit of your development as a learner.
- **Never copy, cheat, or plagiarize** in any way. This is extremely important as we need to see what you can do. This can only happen if we see **your** work. The consequences of being academically dishonest are firstly that you cheat yourself of part of your education and growth as a learner but secondly that you will suffer serious consequences (for more information see 'Academic Honesty Policy for more information').

## Problems

- **If you have a problem, tell us about it.** You can talk to any teacher, but your class teacher is going to be your best "best friend".
- In general, when you do have a problem, you should see the person who can help most directly first.

For example, if you have a problem with a subject, discuss it with the subject teacher. If it is still a problem, discuss it with your coordinator.

- **We should make every effort to help each other.** If you don't like something or can see a better way of doing things, then discuss and write a proposal for that change and give it to the person who can make the change.
- **Ultimately, you are always welcome to discuss matters with the teacher / program coordinator and / or another authorized person.**

## Student Behavior in the School Area, during Educational Process and School Events

- The student is always respectful with the teacher and other school staff, and never acts disrespectfully.
- The student follows the lawful instructions given by the School Director, the teacher, and other school staff.
- The student respects other students, refrain from threat of violence, slanderous or bullying statements and never acts disrespectfully.
- The student expresses his / her opinions without violating others' rights.
- The student does not use the mobile phone or other technical devices during educational process, for non-learning purposes.
- The student does not hinder the teacher and other students while educational process.
- The student respects others' opinion and academic work; doesn't appropriate the product of other's intellectual property.
- The student does not carry out religious and political propaganda.
- The student does not leave the lesson without the teacher's consent.
- The student takes care and does not damage his / her own, as well as others and school property.
- The student does not litter at school and in the surrounding area.

## Forbidden Objects at School

The student is not allowed to bring the following objects at school, such as:

a. Tobacco production;
b. Any type of weapon or sharp objects that might be used as weapon;
c. Lighter or matches;
d. Alcoholic beverage;
e. Technical devices hindering the educational process;
f. Expensive objects or large amount of money;
g. Gambling objects;
h. Indecency items;
i. Illegal drugs;
j. Explosive and poisoning material;
k. Psychotropic drugs without medical prescription.

## Severe Violation of the School Rules

The following are some behavioral examples that are regarded as severe violations of the rules with different disciplinary consequences ranging from warnings to removal from the school in accordance with the severity of the situation:

- Violent or threatening behavior including bullying, racial harassment, or discrimination;
- Vandalism;
- Smoking on any part of the school property;
- Consuming alcohol and/or illegal drugs;
- Setting off a false fire alarm;
- Bringing weapons to school.

## Consequences for Unacceptable Student Behavior

The objective of the disciplinary consequences is the following:

- Provide the equal opportunity for all students for learning;
- Ensure the safety for the school staff and students;
- Assist students to take responsibility for themselves and their actions.

## Before applying to the disciplinary measures, the following actions might be taken towards the student, such as:

- Admonition from the class teacher;
- Reprimand from the class teacher;
- Meeting with the class teacher and the program coordinator;
- Observation of the class by psychologist/meeting with parents;
- Admonition from the program coordinator / supervisor, etc.

## In case of the disciplinary misbehavior, by the school regulations, the following disciplinary actions might be applied, such as:

a. Warning;

b. Sharp warning;

c. Expelling from the classes;

d. Recovery of damages;

e. In-school suspension after the classes and / or applying to the community service;

f. Temporary dismissal from the school;

g. Suspension from the right of taking part in outside the school activities, when all other ways of educational influence are used with no result, or when parents do not take up the cooperation with the school- do not fulfill previously accepted arrangements, and the student fails to follow the Statute obligations, school regulations, and generally accepted socio-moral rules, the Academic Director dismisses the student in accordance with the Teaching Staff resolution;

h. The removal from the school (in case of the middle stage student).

## The student may be expelled in case of:

- Violating the school regulations;
- Promoting lifestyles contradictory to the school educational program;
- Distributing or using intoxicants, alcohol, and other harmful substances;

- Activities which threaten the good morality, motivation, or safety of other students;
- In other cases, defined by the school legal acts and regulations.

## In-School Suspension after the Classes

The school may take decision about in-school suspension of the student after the classes. The student can stay at school until 5 o'clock and work on his / her home assignments, read books, or do some community work.

Other issues related to the student disciplinary misbehavior and disciplinary actions are defined by the school regulations and other legal acts.

## Violation of Dress Code

- The first violation: verbal warning, registering the incident in the management system of the educational process.
- The second violation: verbal warning, registering the incident in the management system of the educational process, writing a letter to the parents.
- The third violation: the student is sent home for changing the clothes, communication with the parents by phone and sending the email to them.
- Next violation: the measures will be defined by the respective head of the program.

## Unjustified Absence (Applicable to the IB Diploma Program)

- First offence (during a week two lessons missed, i.e., 4 X 45 minutes): meeting with the head of the program and informing the parent / guardian.
- The second offence: the parents' meeting with the head of the program and placement the fact of the meeting in attendance report.
- The third offence: in-school suspension (1 day).
- The fourth offence: community service.
- The fifth offence: out-of-suspension (duration to be determined).
- The sixth offence: referral to the school director for further action.